

სადოქტორო პროგრამის სახელწოდება: გეოლოგია

მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი: გეოლოგიის დოქტორი/PhD in Geology

სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელები:

- ასოცირებული პროფესორი კარლო აქიმძე
- ასოცირებული პროფესორი გურამ ქუთელია
- ასოცირებული პროფესორი გურამ ლონდაძე
- პროფესორი შოთა ადამია
- მეცნ. ეროვნ. აკადემიის წ/კ, პროფესორი მიხეილ კაკაბაძე

სადოქტორო პროგრამის საკვალიფიკაციო დახასიათება

ა) პროგრამის მიზანი:

- გეოლოგიური მეცნიერებების თეორიული საფუძვლების გარღმავებული ცოდნის შექმნა.
- ქანთა შედგენილობის, სტრუქტურის, განლაგების ფორმების, გავრცელებისა და წარმოშობის შესახებ ინფორმაციის მიღება
- ბუნებრივ გაშიშვლებებში აღებულ ქანთა გადატანა ოთხგანზომილებიან მოდელში და ქანთა პროვინციების გეოლოგიური ევოლუციის აღწერა
- საველე და ლაბორატორიულ პირობებში მოპოვებული ქვიური მასალის ანალიზი; პეტროლოგიური და ბინოკულარული მეთოდების გამოყენებით მიღებული შედეგების აღწერა, ამოცნობა, ზუსტი და დეტალური ანგარიშის შედგენა, დოკუმენტირება, ნომენკლატურა და წარდგენა
- პეტროგრაფიული პროვინციების მეტალოგენური სპეციალიზაციის განსაზღვრა
- დედამიწის სიღრმული აგებულების, მისი გეოსფეროების შედგენილობისა და სტრუქტურის, დედამიწის ქერქის ევოლუციის კანონზომიერების და ბუნებრივი კატასტროფების კვლევა.
- ახალი გლობალური ტექტონიკის – ფილების ტექტონიკის თეორიის საფუძვლების დაუფლება და ამ თეორიის საფუძველზე რეგიონული ტექტონიკის, კონკრეტული რეგიონის სიღრმული აგებულების კვლევის განხორციელება;
- გეოლოგიური და გეოფიზიკური მონაცემების საფუძველზე საქართველოს კონკრეტული რეგიონების სიღრმული სტრუქტურების დეფორმაციის სურათის დადგენა;
- მიწისძვრების ვულკანური აქტივობის და მათ მიერ გამოწვეული ბუნებრივი კატასტროფების ადგილის, სიძლიერის და სავარაუდო (გრძელვადიანი) გამოვლენის ალბათობის გამოკვლევა საქართველოს და მიმდებარე რეგიონების მაგალითებზე;
- დედამიწის ფიზიკური ველების: გრავიტაციული, მაგნიტური, სითბური ანომალური ველების ბუნების ღრმა ცოდნა: მათი ინტერპრეტირების საფუძველზე რეგიონული ტექტონიკის – სეისმოტექტონიკის პრობლემების განხორციელება;
- საქართველოს კონკრეტული რეგიონებისათვის სეისმოაქტიური სტრუქტურების კარტირება, მათი დახასიათება და კატალოგიზირება;
- საქართველოს კონკრეტული რეგიონებისათვის მიწისძვრებით გამოწვეული შესაძლო საგანგებო მოვლენების შეფასება და საზიანო შედეგების შემცირებისთვის საჭირო ღონისძიებების რეკომენდირება.
- პალეონტოლოგიისა და სტრატოგრაფიის თეორიული საფუძვლებისა და თანამედროვე კვლევის მეთოდების დაუფლება.
- პალეოეკოლოგიური ანალიზის უნარის გამომუშავება
- ბიოგეოგრაფიული სქემების შედგენის ათვისება და ინტერპრეტაცია.

ბ) პროგრამის შედეგი:

პროგრამის გავლის შემდეგ კურსდამთავრებულები შესძლებენ:

- მიღებული ცოდნის რეალიზებას სამეცნიერო-კვლევით და სამრეწველო დაწესებულებებში, რომლებიც დაკავებულნი არიან გეოლოგიური ამოცანების გადაწყვეტით და აგრეთვე იმ დაწესებულებებში, რომელთა საქმიანობა დაკავშირებულია ბუნებრივი კატასტროფების კვლევით და მათ მიერ გამიწვეული ზიანის აღკვეთა-შემცირების ღონისძიებებთან;
 - ხელმძღვანელის როლის შესრულებას ორგანიზაციებში, რომლებიც ახორციელებენ საველე და ლაბორატორიულ ხასიათის კვლევებს.
 - გეოლოგიური კვლევების ახალ მეთოდებსა და ტექნოლოგიების შემუშავებას.
 - დარგში არსებული პრობლემების ანალიზის ჩატარებას, მათი დამოუკიდებლად გადაჭრასა და რეკომენდაციების შემუშავებას.
 - გამოიყენონ სათანადო ცოდნა მადნეული და არამადნეული საბადოების პროგნოზირებისა და პეტროგრაფიული ძეგლითი კრიტერიუმების შემუშავების საქმეში
- სადოქტორო პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულს ექნება უნარი:
- უხელმძღვანელოს საგანგებო ბუნებრივი მოვლენების შემსწავლელ ორგანიზაციებში შესაბამის ლაბორატორიულ და სხვა კვლევებს;
 - განახორციელოს გეოლოგიური და გეოფიზიკური დარგების სათანადო კურსების სწავლება საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში.

გ) დასაქმების სფეროები

- დედამიწის შემსწავლელი მეცნიერებების კვლევითი და გამოყენებითი პროფილის ინსტიტუტებში;
- უმაღლესი სასწავლებლების საბუნებისმეტყველო ფაკულტეტებზე;
- სამშენებლო ორგანიზაციებში;
- გარემოსდაცვით ორგანიზაციებში;
- საგანგებო ბუნებრივი მოვლენების სფეროში არსებულ საერთაშორისო პროექტებში.

სამეცნიერო კვლევების მატერიალურ-ტექნიკური ბაზა

დოქტორანტების აღზრდას მოემსახურება ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, გეოლოგიის დეპარტამენტის მინერალოგიისა და პალეონტოლოგიის მონოგრაფიული მუზეუმები, პეტროქიმიის ლაბორატორია, მდიდარი ბიბლიოთეკა;

მდიდარი ტრადიციების მქონე დედამიწის შემსწავლელი მეცნიერებების აკადემიური ინსტიტუტები აღჭურვილი კვლევისათვის აუცილებელი ლაბორატორიებითა და მდიდარი ბიბლიოთეკებით, ფართო კავშირებით მსოფლიოს მრავალი ქვეყნის წამყვან უნივერსიტეტებსა და ინსტიტუტებთან.

ალ.თვალჭრელიძის კავკასიის მინერალური ნედლეულის ინსტიტუტისა და ლაბორატორიული ბაზები.

პროგრამებზე მიღების წინაპირობა:

სადოქტორო პროგრამაზე მიღების წინაპირობას წარმოადგენს:

- ◆ მაგისტრის აკადემიური ხარისხი საბუნებისმეტყველო დარგებში.
- ◆ მეცნიერული კვლევების ჩატარების უნარი
- ◆ სასურველია ჰქონდეს სამეცნიერო-კონფერენციებში, გეოლოგიურ და გეოფიზიკურ ექსპედიციებში მონაწილეობისა და პრაქტიკული მუშაობის გამოცდილება.

ადამიანური და მატერიალური რესურსების გათვალისწინებით პროგრამაზე შესაძლებელია 6 დოქტორანტის მიღება.